

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



დამტიცებულია
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის
2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით

სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III საფეხური

ძირითადი საზღვაო - საერთაშორისო კონვენციების და
საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები

სილაბუსი

კოდი: ნდ №2- P. 0327-04

წარმოდგენილია
პროფესიული განათლების განყოფილების მიერ
სხდომის ოქმი №05, 10 ივნისი, 2014 წ.

ბათუმი 2014



<p>სასწავლო კურსის დასახელება და კოდი</p>	<p>ძირითადი საზღვაო საერთაშორისო კონვენციების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები</p> <p>ნდ №2- P. 0327-04</p>			
<p>სწავლების საფეხური</p>	<p>III საფეხური</p>			
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</p>	<p>სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</p>			
<p>პასუხისმგებელი განყოფილება</p>	<p>პროფესიული განათლების განყოფილება</p>			
<p>სასწავლო კურსის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი</p>	<p>ოსმან ხინკილაძე</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია ტელ: 599 53 40 83 577 22 16 32 ელ-ფოსტა: khinkiladze42@mail.ru</p>			
<p>დაშვების წინაპირობები</p>	<p>წინაპირობის გარეშე</p>			
<p>სასწავლო კურსის სწავლების მიზანი</p>	<p>სასწავლო კურსის მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს საზღვაო პრაქტიკაში მოქმედი IMO-ს ძირითადი საერთაშორისო საზღვაო კონვენციების და ნაციონალური კანონმდებლობის საფუძვლები</p>			
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ძირითადი საერთაშორისო საზღვაო კონვენციებისა და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის საფუძვლები; - ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; - უსაფრთხო ვახტის გაწვევის ნორმები. <p>კომუნიკაციის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს გუნდური მუშაობის უნარი - აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით; <p>სწავლის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას. <p>ღირებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> - აცნობიერებს მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურებებს, რისკ-ფაქტორებს, პროფესიულ და პირად პასუხისმგებლობას. 			
<p>სასწავლო კურსის მოცულობა, ხანგრძლივობა, სწავლებისა და</p>	<p>3 კრედიტი (1 კრედიტი=26 საათს)</p> <p>სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა 12 კვირა და ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მე-9 კვირიდან მე-20 კვირის ჩათვლით.</p> <table border="1" data-bbox="453 2022 798 2089"> <tr> <td><i>საათების რაოდენობა</i></td> <td><i>სრული</i></td> <td>78 სთ.</td> </tr> </table>	<i>საათების რაოდენობა</i>	<i>სრული</i>	78 სთ.
<i>საათების რაოდენობა</i>	<i>სრული</i>	78 სთ.		



<p>სწავლის მეთოდები</p>	<p><i>საკონტაქტო საათების რაოდენობა</i></p>	<p>46 (17 სთ. ლექცია; 25სთ. პრაქტიკული; 4 შეფასების დრო (შუალედური გამოცდები - 2 სთ. დასკვნითი გამოცდა 2 სთ.))</p>
	<p><i>დამოუკიდებელი მუშაობის საათები</i></p>	<p>32 სთ.</p>
	<p><i>სწავლების მეთოდები</i></p>	<p>ლექცია, პრაქტიკული/მუშაობა სამუშაო ჯგუფში.</p> <p>სწავლებისას აქტიურად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:</p> <p>შემთხვევის ანალიზი - პრობლემის, საკითხის სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით.</p> <p>ჯგუფური მუშაობა - პროფესიული თავისებურებებიდან გამომდინარე აღნიშნულ მეთოდს მნიშვნელოვანი როლი უკავია სწავლებისას. ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში და უვითარებს გუნდური მუშაობის, კომუნიკაბელურობის, პასუხისმგებლობის უნარებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი ითვალისწინებს შემდეგი სახის დადებითი და უარყოფითი შეფასებებს.</p> <p>ხუთი სახის დადებითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>ორი სახის უარყოფით შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>	
<p>შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოიცავს შემდეგი სახის შეფასებებს:</p> <p>შუალედური შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქტიურობა/ყოველდღიური გამოკითხვა - 5 ქულა • ჯგუფში მუშაობა - 5 ქულა 	



- შემთხვევის ანალიზი/კაზუსი - 5X2 ქულა=10 ქულა
- I შუალედური გამოცდა/ტესტირება - 20 ქულა
- II შუალედური გამოცდა/ტესტირება - 20 ქულა

დასკვნითი გამოცდა/ტესტირება - 40 ქულა;

შუალედური და დასკვნითი გამოცდების ტესტი გულისხმობს როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებსა და ასევე სიტუაციურ ამოცანებს. ტესტური კითხვების ქულათა რაოდენობა განისაზღვრება სირთულის მიხედვით.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების ტესტი გულისხმობს როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებსა და სიტუაციურ ამოცანებს. ტესტური კითხვების ქულათა რაოდენობა განისაზღვრება სირთულის მიხედვით: დახურული კითხვა - 1 ქულა, ღია კითხვები - 1,5 ქულა და 2 ქულა, სიტუაციურ ამოცანა- 3 ქულა.

შუალედური გამოცდის ტესტები შედგება: 8 დახურული კითხვა - 8X1ქულა=8 ქულა, 6 ღია კითხვა - 6X1,5ქულა=9 ქულა, სიტუაციურ ამოცანა-1X3 ქულა=3 ქულა. ჯამში - 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდის ტესტი შედგება: 10 დახურული კითხვა - 10X1 ქულა=10 ქულა; ღია კითხვები: - 6X1,5 ქულა=9 ქულა, 6X2 ქულა=12 ქულა; სიტუაციურ ამოცანა- 3X3 ქულა=9 ქულა. ჯამში - 40 ქულა;

ტესტი დადებითად ფასდება ტესტისათვის დადგენილ ქულათა ნახევარის ან მეტის გადალახვის შემთხვევაში.

აქტიურობა და ყოველდღიური გამოკითხვა

5 ქულა - აქტიურად არის ჩართული მეცადინეობის მსვლელობაში, სისტემატურად პასუხობს კითხვებს, პასუხები ზუსტი და ამომწურავია. ზუსტად განმარტავს უცხოენოვან და ქართულ ტერმინებს. ზედმიწევნით ამუშავებს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალას და გადმოსცემს პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

3-4 ქულა - აქტიურია, თითქმის ყველა კითხვას პასუხობს უშეცდომოდ. სისტემატურად ამუშავებს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალას; მასალას გადმოსცემს პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით. ქართული და უცხოენოვანი ტერმინების თარგმნაში უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს.

1-2 ქულა - ნაკლებად აქტიურია, კითხვებზე პასუხი ხშირად არაზუსტია. ქართული და უცხოენოვანი ტერმინების თარგმნაში უშვებს შეცდომებს.

0 ქულა - საერთოდ არ აქტიურობს.

შემთხვევის ანალიზი

2 ქულა - შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, საკითხის ირგვლივ ზედმიწევნით ამომწურავი მსჯელობა და დამაჯერებელი არგუმენტირება.

1 ქულა - შეუძლია საკითხის ირგვლივ მსჯელობა, დამატებითი არგუმენტების მოშველიება

0 ქულა - საკითხს ვერ განიხილავს, მსჯელობა არადამაკმაყოფილებელია.

ჯგუფში მუშაობა

5 ქულა - კარგად აქვს გაცნობიერებული გუნდური მუშაობის პრინციპები. შეუძლია საკუთარი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრის მოსმენა, შეფასება და გათვალისწინება.

3-4 ქულა - ჩამოყალიბებული აქვს გუნდური მუშაობის უნარი, შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ასევე სხვისი აზრის მოსმენა.

1-2 ქულა - უჭირს ჯგუფში მუშაობა, სხვისი აზრის მოსმენა და გათვალისწინება.



	<p>0-ქულა - ვერ აცნობიერებს გუნდური მუშაობის პრინციპებს.</p> <p>შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარს ან მეტს.</p>		
კვირა	სასწავლო კურსის შინაარსი	ლექცია	ჯგუფში მუშაობა
I-II	<p>სილაბუსისა და შეფასების წესის გაცნობა.</p> <p>საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), მისი შექმნის ისტორია, სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მიღებული საზღვაო კონვენციების ჩამონათვალი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. IMO-ს მოთხოვნების შესაბამისი, გემების საერთაშორისო და ნაციონალური დოკუმენტების ჩამონათვალი; 2. გემების აუცილებელი ნაციონალური დოკუმენტების ჩამონათვალი. გემებზე თანამდებობათა ჩამონათვალი რომელთაც ეხება სერტიფიცირება და დიპლომირება; 3. ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის საერთაშორისო კონვენცია (SOLAS-74), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; 4. საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (MARPOL-73/78), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; 5. საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ (STCW-78/95), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე; 6. გემის უსაფრთხო ექსპლუატაციის მართვის და ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების საერთაშორისო კოდექსი (ISM CODE-1993). ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; 7. საერთაშორისო უსაფრთხოების კოდექსი გემებისა და საპორტო საშუალებებისათვის (ISPS Code – 2004), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; საერთაშორისო საზღვაო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ-(Load Line-1966), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; შემთხვევის ანალიზი 8. გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები-(COLREG-72), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; 9. საერთაშორისო კონვენცია ზღვაზე ძებნის და შველის შესახებ (SAR-79), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; 10. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (ILO-1876/1930), ზოგადი მიმოხილვა, დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე. 11. საქართველოს საზღვაო კოდექსი, საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების 	4	6



<p style="text-align: center;">III</p>	<p>შესახებ - ზოგადი მიმოხილვა. დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 4 სთ</p> <hr/> <p>ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის საერთაშორისო კონვენცია (SOLAS-74):</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კონვენციის შექმნის მოკლე ისტორია და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები. SOLAS 1974/1988 საერთაშორისო საზღვაო კონვენციის ძირითადი განსაზღვრებები. 2. თავი I – საერთო დებულებები. 3. თავი II-1 – კონსტრუქციები – მოწყობილობები, ნაკვეთურებად დაყოფა, მდგრადობა, მექანიკური და ელექტრული მოწყობილობები. 4. თავი II-2 – კონსტრუქციები – ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა, ხანძრის აღმოჩენა და ქრობა. 5. თავი III – სამაშველო საშუალებები და მოწყობილობები. 6. თავი IV – რადიოკავშირი. 7. თავი V – ნაოსნობის უსაფრთხოება. 8. თავი VI – ტვირთების გადატანა. 9. თავი VII – საშიში ტვირთების გადატანა. 10. თავი VIII – ბირთვული გემები. 11. თავი IX – გემების უსაფრთხო ექსპლუატაციის მართვა. 12. თავი X – დიდი სიჩქარის მქონე გემებისათვის უსაფრთხოების ზომები. 13. თავი XI – ზღვაზე უსაფრთხოების გაზრდის სპეციალური ზომები. 14. თავი XII – უსაფრთხოების დამატებითი ზომები ნაყარი ტვირთის გადამტანი გემებისათვის. 15. SOLAS 1974 საერთაშორისო საზღვაო კონვენციის დამატებები. <p>შემთხვევის ანალიზი</p> <p>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 1 სთ</p>	<p>2</p>	<p>3</p>
<p style="text-align: center;">IV</p>	<p>შუალედური გამოცდა 1 სთ.</p> <p>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 3 სთ</p>		
<p style="text-align: center;">V</p>	<p>საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (MARPOL-73/78):</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტერმინები და განმარტებები; 2. მავნე ნივთიერებები; 3. გადაღვრა; 4. ინციდენტი; 5. კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება და სანქციები გამოყენებული გემებისადმი, რომლებიც არღვევენ მოთხოვნებს. <p>დანართი 1. - ნავთობით დაბინძურების თავიდან აცილების წესები;</p> <p>დანართი 2. - ჩამოსხმით გადასატანი მავნე ნივთიერებები;</p> <p>დანართი 3. - მავნე ნივთიერებებით დაბინძურების თავიდან</p>	<p>2</p>	<p>2</p>



	<p>აცილების წესები, რომლებიც გადაიტანება ზღვით, შეფუთულ მდგომარეობაში სატვირთო კონტეინერებში; დანართი 4: - ჩამდინარე წყლები; დანართი 5: - ნაგავით დაბინძურების თავიდან აცილების წესები.</p> <p>შემთხვევის ანალიზი</p>		
<p>VI- VII</p>	<p><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 2 სთ</u></p> <p>საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ (STCW-78/95):</p> <ol style="list-style-type: none"> კონვენციის შექმნის მოკლე ისტორია და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები, კონვენციის ძირითადი განსაზღვრებები; დოკუმენტი 1, რეზოლუცია 1 – შესწორებების მიღება კონვენცია STCW-78 დანართისათვის; დანართი: თავი 1 – ძირითადი დებულებები; თავი 2 – კაპიტანი და გემბანის შემადგენლობა; თავი 3 – სამანქანე განყოფილება; თავი 6 – ფუნქციები, რომლებიც მიეკუთვნება ავარიულ სიტუაციებს, შრომის დაცვას, სამედიცინო მომზადებას და სიცოცხლისუნარიანობას; თავი 7 – ვახტის გაწევა; დოკუმენტი 2, რეზოლუცია 2 – მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის კოდექსის მიღება; <ul style="list-style-type: none"> დანართი 1: მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის კოდექსი (STCW Code); ნაწილი A: აუცილებელი მოთხოვნები დანართის მიმართ: თავი 1 – ძირითადი დებულებები; თავი 2 – კაპიტანი და გემბანის შემადგენლობის მიმართ წაყენებული მოთხოვნები; თავი 3 – სამანქანე განყოფილების მიმართ წაყენებული მოთხოვნები; თავი 6 – ავარიული სიტუაციების, შრომის დაცვის, სამედიცინო მომზადების და სიცოცხლის უნარიანობის მიმართ წაყენებული მოთხოვნები; თავი 7 – ვახტის გაწევის მიმართ წაყენებული მოთხოვნები; დანართი 2: მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის კოდექსი (STCW Code); ნაწილი B: რეკომენდებული სახელმძღვანელო STCW კონვენციის დებულებების და დანართის მიმართ; თავი 1 – საერთო დებულებების სახელმძღვანელო; თავი 2 – სახელმძღვანელო კაპიტნისა და გემბანის შემადგენლობის მიმართ; თავი 3 – სახელმძღვანელო სამანქანე განყოფილების მიმართ; 	<p>2</p>	<p>6</p>



	<p>თავი 6 – სახელმძღვანელო ავარიული სიტუაციების, შრომის დაცვის, სამედიცინო მომზადების და სიცოცხლის უნარიანობის მიმართ; თავი 7 – სახელმძღვანელო ვახტის გაწვევის მიმართ.</p> <p><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 5 სთ</u></p>		
<p style="text-align: center;">VIII</p>	<p>გემის უსაფრთხო ექსპლუატაციის მართვის და ზღვის გარემოს დაზინძურების თავიდან აცილების საერთაშორისო კოდექსი (ISM CODE-1993).</p> <p>შესავალი, ნაწილი A - განხორციელება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზოგადი განსაზღვრებები, ტერმინები და განმარტებები, მიზნები, გამოყენება; 2. უსაფრთხოების და გარემო ბუნების დაცვის პოლიტიკა; 3. კომპანიის პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი; 4. დანიშნული პირები; 5. კაპიტნის პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი; 6. რესურსები და პერსონალი; 7. გემებზე საკვანძო სამუშაოების ჩატარების გეგმები და ინსტრუქციები; 8. მზადება საგანგებო სიტუაციებისათვის; 9. ტექნიკური მომსახურება და შეკეთება; 10. დოკუმენტაცია; 11. შიდა აუდიტები. <p>ნაწილი B – მოწმობების გაცემა (სერტიფიცირება) და შემოწმება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოწმობების გაცემა (სერტიფიცირება) და პერიოდული შემოწმება; 2. შუალედური (სერტიფიცირება) მოწმობების გაცემა; 3. შემოწმება; 4. შემოწმების (სერტიფიცირების) ფორმები. <p>შემთხვევის ანალიზი</p> <p><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 2 სთ</u></p>	2	3
<p style="text-align: center;">IX</p>	<p>შუალედური გამოცდა 1 სთ.</p> <p><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 3 სთ</u></p>		
<p style="text-align: center;">X</p>	<p>საერთაშორისო უსაფრთხოების კოდექსი გემებისა და საპორტო საშუალებებისათვის (ISPS Code – 2004)</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნები, სსო (IMO); 2. გემის დაცვის გეგმა; 3. გემის დაცვის ოფიცერი; 4. სწავლება და სასწავლო განგაშები; 5. დაცვის მამველი ღონისძიებები და მოქმედებები საგანგებო სიტუაციებისას; 6. სერტიფიცირება და შემოწმებები; 7. შემოწმება. 	2	2



<p style="text-align: center;">XI</p>	<p style="text-align: center;"><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 2 სთ</u></p> <hr/> <p>საქართველოს საზღვაო კოდექსი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საერთო დებულებები; 2. გემი; 3. კაპიტანი და გემის ეკიპაჟი; 4. საზღვაო პორტი; 5. პორტის კაპიტანი; 6. საზღვაო სალოცმანო სამსახური; 7. დაჯილდოება ზღვაზე გადარჩენისათვის. <p>დისციპლინარული წესდება საქართველოს რესპუბლიკის საზღვაო გემებზე</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საერთო დებულებები; 2. ქცევის საერთო წესები ჩვეულებრივ და საგანგებო პირობებში; 3. დისციპლინური სასჯელები და წახალისებები; 4. მეზღვაურის უფლებები. <p style="text-align: center;">შემთხვევის ანალიზი</p> <p>საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზოგადი დებულებანი 2. სამეთაურო შემადგენლობის წოდებები 3. სამეთაურო შემადგენლობისადმი წაყენებული მოთხოვნები 4. მოწმობები 5. დიპლომის მისაღებად და მისი მოქმედების ვადის დასადასტურებლად კანდიდატის ცოდნის შემოწმება 6. დიპლომისა და მოწმობის გაცემა 7. დიპლომის ან მოწმობის ჩამორთმევა და მოქმედების ვადის დროებითი შეჩერება 8. მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი წაყენებული სამედიცინო მოთხოვნები 9. დასკვნითი დებულებანი <p style="text-align: center;"><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 2 სთ</u></p>	<p style="font-size: 24px;">3</p>	<p style="font-size: 24px;">3</p>
<p style="text-align: center;">XII</p>	<p>დასკვნითი გამოცდა 2 სთ.</p> <p style="text-align: center;"><u>დამოუკიდებელი მუშობისათვის განკუთვნილი დრო - 8 სთ</u></p>		
<p>სავალდებულო ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს საზღვაო კოდექსი; 2. დისციპლინარული წესდება საზღვაო გემებზე, 1995 წ; 3. საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ. 4. International Convention for the Safety of Life at Sea (SOLAS), 1974; 5. International Convention for the Prevention of Pollution from Ships (MARPOL 73/78); 6. International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers (STCW78/95); 7. International Safety Management Code 1993; 8. International Ship and Port Facility Security Code 2004; <p>მითითებული ნორმატიული დოკუმენტები პროფესიულ სტუდენტს შეუძლია</p>		



	<p>მოიძიოს შემდეგ ვებ-გვერდებზე: საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - http://mta.gov.ge/geo/legislation/laws საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) - http://www.imo.org/Pages/home.aspx</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა</p>	<ol style="list-style-type: none">1. International Convention on LOAD LINES, 1966;2. The International Regulations for Preventing Collisions at Sea (COLREG 1972);3. International Convention on Maritime Search and Rescue (SAR), 1979;4. International Labour Organization (ILO 1876/1930). <p>ყოველი ლექციის შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული სახით მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მომზადებული სალექციო მასალა.</p>



პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



შეთანხმების ფურცელი

შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება

ძირითადი საზღვაო-საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები

კოდი: ნდ №2-P. 0327-04
სილაბუსი

დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილება-ხარისხის სისტემის სამსახური

დოკუმენტის შემსრულებელი შორეული ნაოსნობის კაპიტანი ო. ხინკილაძე

შეთანხმება

№	შეთანხმების თანამდებობა, სახელი და გვარი	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების ვადა	შენიშვნა
1	პროფესიული განათლების განყოფილების უფროსი				
2	ხარისხის სისტემის მენეჯერი				
3					
4					

დოკუმენტი შესათანხმებლად დააგზავნა

(ხელმოწერა, სახელი, გვარი)

თარიღი